ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

1979 წელი შაბათი 10 თებერვალი № 35 (17380) ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სოფლის თავ-კაცის სახელი

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ, ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲡᲐᲠᲗᲝ ᲙᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ, ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲝᲠ�გᲐᲜᲝᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲘᲛᲐᲡᲗᲐᲜ დაკავშირებით, რომ პაკისტანის უოფილ პრემიერ-მინისტრს ზ. ა. ბჰუტოს გამოუტანეს სიკვდილის განაჩენი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა პაკისტანის პრეზიდენტს ზია ულ-ჰაკს მოუწოდა შემწყნარებლობა და ლმობიერება გამოიჩინოს ზ. ა. ბჰუტოს მიმართ.

ბრალდების არსის განსჯა, ნათქვამია ლ. ი. ბრეჟნევის მიმართვაში, მხოლოდ და მხოლოდ პაკისტანის შინაური საქმეა, მაგრამ, ვხელმძღვანელობ რა წმინდა ჰუმანური მოტივებით, იმედი მაქვს, რომ შესაძლებლად მიიჩნევთ სიცოცხლე შეუნარჩუნოთ ზ. ა. ბჰუტოს. (საკდესი).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

8 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ვოიტაშეკი მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა. (საკდესი).

ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲔᲜ ᲤᲝᲗᲝᲔᲚ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲬᲕᲝᲓᲔᲑᲐᲡ

ᲐᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲨᲘᲓᲐ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ, ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲐᲜ ᲓᲝᲕᲚᲐᲗᲘᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა ამომრჩევლისადმი, ყველა ოქალაქისადმი სამტრედიის რაიონის მშრომელთა უფრადღების ცენტრშია. აქ ახლა არ არის არც ერთი სამრეწველო საწარმო, კოლმეურნეობა თუ საბჭოთა მეურნეობა, სადაც ჩვენი პარტიის ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი ღრმა შესწავლისა და ანალიზის საგნად არ გაეხადოთ. შობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა გულში ჩასწვდა თითოეულ სამტრედიელ მშრომელს და მათ გადაწყვეტეს გაორკეცებული ენერგიით იბრძოლონ მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

სამტრედიელი მშრომელები, პარტიის მიმართვის პასუხად ახალ მიჯნებს რომ ისახავდნენ, უპირველესად ხელმძღვანელობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის, ამ პლენუმზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან გამომდინარე მითითებებითა და დასკვნებით. მათ მიზნად დაისახეს განუხრელად განახორციელონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV და XV პლენუმების გადაწყვეტილებანი.

მიმდინარე წლის გეგმა-ვალდებულებების წარმატებით რეალიზაციის საკითხს შარშან ჩაეყარა საფუძველი. ხუთწლედის მესამე წელს სამტრედიის რაიონის მშრომელებმა სამ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ზეგეგმითი პროდუქცია აწარმოეს და შრომის ნაყოფიერების ზრდის სახელმწიფო დავალებას 2,3 პროცენტით გადააჭარბეს. საკუთარი ძალებით შესრულდა ერთი მილიონ 760 ათასი მანეთით მეტი საამშენებლო სამუშაოები; ვიდრე ეს დავალებით იყო გათვალისწინებული. კარგად გაართვეს თავი საქმეს აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საწარმოებმა, რომლებმაც გეგმის გადაჭარბებით 13 ათასი ტონა ტვირთი გადაზიდეს. ეს გარკვეული წარმატებები მოპოვებულია ძირითადად შიდა რეზერვების გამოვლენის გზით.

— სწორედ შიდარეზერვების მაქსიმალური გამოყენების აუცილებლობა დაედო საფუძვლად სამტრედიის რაიონის სამრეწველო საწარმოთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა მიერ ნაკისრ მიმდინარე წლის სოციალისტურ ვალდებულებებს — ამბობს საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი თ. იმედაძე,— ქალაქ ფოთის საბრეწველო საწარმოთა კოლექტივების მსგავსად, რომლებიც ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რათა წარმოების რეზერვების გამოძებნისა და ამოქმედების გზით მიაღწიონ მაღალ საბოლოო შედეგებს, სამტრედიელებმა გადაწყვიტეს წარმოების ეფექტიანობის მკვეთრად ამაღლების მიზნით აღრიცხვაზე აიყვანონ შესაძლებლობათა მთელი არსენალი.

ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმა გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაზრდილი და დაძაბულია. მეუზედავად ამისა სამტრედიელებმა ითავეს პროდუქციის გამოშვების გეგმა 25 დეკემბრისათვის შეასრულონ და სამშობლოს 2 მილიონ 206 ათასი მანეთის ჭარბი სამრეწველო ნაწარმი და სოფლის მეურნეობის პროდუქტები მისცენ. წარმოების მოცულობის ზრდის 80 პროცენტი შრომის ნაყოფიერების გზით იქნება მიღწეული.

რაიონის ეკონომიკის შემდგომ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა **შეიტანონ სამრეწველო საწარმოებმა.** ამჟამად აქ 26 საამაო პოტენციალის მქონე ქარხანა, ფაბრიკა და კომბინატია. მათ შორის არის ჩაის საწნეხი ფაბრიკა, რომელიც 52 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქციას უშვებს და რაიონის რრეწველობის ფლაგმანად ითვლება. საკუთარი რეზერვების გამოვლენის დიდი შესაძლებლობანი აქვთ ხის დამმუშავებელ კომბინატს, აბრეშუმის ძაფსაღებსაგრეხ ფაბრიკას, საკონსერვო კომბინატს და სხვებს.

ხის დამმუშავებელი კომბინატის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა, რაიკომის პლენუმის წევრმა ნოდარ ფაბრიძემ მოუწოდა სამრეწველო საწარმოთა ყოველ მუშაკს არ შეურიგდნენ ჩამორჩენილთა გვერდით მუშაობას, მთლიანად აღმოფხვრან შრომითი და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. სამუშაო დროის მაქსიმალურად შეჭიდროება, მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი დანადგარების განახლება, წარმოებაში მოწინავე მეთოდების ფართოდ დანერგვა — აი ის ძირითადი რეზერვები, რომლებიც განაპირობებს სამტრედიელთა წარმატებას. წელს რაიონის სამრეწველო საწარმოებში მომუშავე ბრიგადების 20 პროცენტი თბილისის ფოლადთუჯსამზმელო ქარხნის მეკოპის, სოციალისტური შრომის გმირის გ. კურტანიძის ბრიგადის მეთოდით მუშაობს. ასეთ ქვეგანაყოფთა რიცხვი ახლო მომავალში უფრო გაიზრდება. 10-დან 12 პროცენტამდე იმატებს აგრეთვე მრეწველობაში სახელმწიფო ხარისხის-ნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონაც.

მშენებლობის ტემპის დაჩქარებისა და მისი ხარისხის ამაღლების მიზნით სამტრედიელებმა გადაწყვიტეს გააორკეცონ ცნობილი მოსკოველი მშენებლის ნ. ზლობინის მიმდევარ კოლექტივთა რიცხვი. ეს სამტრედიელებს მშენებლობაში შემდგომი წარმატების მოპოვების იმ მთავარ რეზერვად მიიჩნიეთ, რომელიც მათ საშუალებას მისცემს მიმდინარე წლის ბოლომდე 427 ათასი მანეთის ზეგეგმითი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულონ. აჟამად აქაურ მშენებელთა ყურადღება სოფელ გომის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის კომპლექსის მშენებლობაზეა გამახვილებული, რომელიც 600 სული ძროხისთვის არის გათვალისწინებული. მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს ეს ობიექტი ვადაზე ორი თვით ადრე დაამთავრონ. სამტრედიელ მშენებელთა სოციალისტური შეჯიბრების ლიდერია სასოფლო მშენებლობის № 2 ტრესტის № 25 მოძრავმექანიზებული კოლონის იჯარით მომუშავე ბრიგადის კოლექტივი, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი დავით ბაღდავაძე ხელმძღვანელობს.

სოფლის მეურნეობის დარგში წარმატებანი მიწის რაციონალური გამოყენების შედეგად იქნება მიღწეული. სამტრედია, ძირითადად, მებოსტნეობის რაიონია. ამ მიმართულებით ბას გარდაბნისა და მარნეულის რაიონების შემდეგ რესპუბლიკაში მესამე ადგილი უკავია. არსებული სათესი ფართობების ყოველი კვადრატული მეტრის მაქსიმალური გამოყენების, მოწინავე აგროტექნიკური მეთოდების დანერგვის გზით წელს გადაწყვეტილია აწარმოონ 19 ათასი ტონა ბოსტნეული — 6 ათასი ტონით მეტი ვიდრე შარშან. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საადრეო კომბოსტოს მოყვანას. ეს კულტურა ნაცვლად ნავარაუდები 360 ჰექტარისა, 500 ჰექტარზე დაითესება, ხოლო ხახვი — გათვალისწინებულზე თითქმის ორჯერ მეტ ფართობზე. დაგეგმილზე 160 ჰექტარით მეტი ფართობი გამოეყო პამდორს, საგრძნობლად გაიზრდება აგრეთვე ფართობები კიტრისა და ბარდის უხვი მოსავლის მისაღებად. ყველაფერი ეს განხორციელდება მიწების შიდა რესურსების გამოყენების შედეგად და არ შეეხება ძირითად სახნავ ფართობებს.

წელს სამტრედიის რაიონის ჯიხაიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გამოუყენებელი მიწის 50 ჰექტარზე გაშენდება ჩაის ახალი პლანტაცია, ხოლო ხუთწლედის ბოლოსათვის ეს ციფრი გაორკეცდება. ფელაურის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა მეჩაიემ ეთერ ქუთათელაძემ მოუწოდა სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს თავიანთი შეჯარეთებული შრომით მშობლიური რაიონი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რიგებში ჩააყენონ და თავდადებით იბრძოლონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების უთუო და წარმატებით განხორციელებისათვის.

როგორც დასასრულ ამხანაგმა თ. იმედაძემ განაცხადა, რაიონის ყველა საბრეწველო საწარმოში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შიდა რეზერვების მაქსიმალური გამოვლენის მიზნით შეიქმნა სპეციალური კომისიები, რომლებსაც თავიანი ინიციერები და აგრონომები ხელმძღვანელობენ.

Შ. ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲘ,
„ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲪ. ᲙᲝᲠ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲔᲑᲘ

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲬᲚᲘᲡ — ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ!

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲩᲐᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲑᲐᲨᲘ ახალი მაღალი მიჯნების მიღწევისათვის ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში ბრძოლის გაჩაღება შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები წარმატებით მუშაობდნენ შეათე ხუთწლედის განვლილ წლებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამ წამყვანი დარგის განვითარებისათვის. ვახორციელებთ რა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ჩვენ ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში ვაწარმოეთ და სახელმწიფოს მივუყიდეთ 225,4 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და საგეგმო დავალება შევასრულეთ 110,3 პროცენტით.

რეკორდული იყო შარშანდელი მოსავალი. ახალხელსაყრელი ამინდის პირობების მიუხედავად მოვიწიეთ უხვი მოსავალი, მოვკრიფეთ და სახელმწიფოს მივუყიდეთ 81,4 ათასი ტონა „მწვანე ოქრო“ გეგმით გათვალისწინებული 71 ათასი ტონის ნაცვლად. ამ წარმატების გადაიწყვეტი ფაქტორი გახდა ყველა აგროტექნიკური ღონისძიების დროული და ხარისხიანი შესრულება, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა, სოციალისტური შეჯიბრება, ჩაის საკრეფი მანქანებისა და ხელის აპარატების ფართო და ეფექტიანი გამოყენება. კერძოდ, მექანიზებული კრეფის სახელმწიფო დავალება აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ 101,4 პროცენტით შეასრულა. ხელის ჩაის საკრეფი აპარატებით მოკრეფილია 6.600 ტონა ჩაის ფოთოლი. გეგმით გათვალისწინებული 5.930 ტონის ნაცვლად.

დამკვრელურად იშრომეს შარშან ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მეჩაიეობის მეურნეობის კოლექტივებმა. მაგალითად, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ქორნარის კოლმეურნეობა „საქართველოში“ მოკრეფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 4.600 ტონა ჩაის ფოთოლი, პლანტაციების ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ შეადგინა 101,6 ცენტნერი საგეგმო 83,4 ცენტნერის ნაცვლად.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეთა ბრიგადა, რომლებმაც ჰექტარზე საშუალოდ 130 ცენტნერი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს.

ჩვენ, აფხაზ მეჩაიეებს მიგვაჩნია, რომ მიღწეული ზაღალი მაჩვენებლები არ არის ზღვარი. ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვი და შესაძლებლობა გვაქვს ახალი მიჯნების მისაღწევად. ამ რეზერვებიდან მთავარია ჩაის პლანტაციების სიმეჩხრის ლიკვიდაცია, რის გამოც ჯერ კიდევ დიდია სხვაობა თითოეულ ჰექტარზე ჩაის ფოთლის გამოსავლიანობაში. ამიტომ უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია, რომ აღმოვფხვრათ ეს ნაკლოვანება, ნათლად გვაქვს წარმოდგენილი, რომ ყველგან ჩაის ფოთლის სტაბილური უხვი მოსავლის მისაღებად საჭიროა მეცნიერთა და სპეციალისტთა რეკომენდაციების შესაბამისად შეეტანონ პლანტაციებში საჭირო რაოდენობის ორგანული და მინერალური სასუქები, ყველაზე გვალვიან ადგილებში შეექმნათ განშტოებული სარწყავი ქსელი და მუდამ სრულ წესრიგში გვქონდეს იგი, მაღალეფექტიანად გამოვიყენოთ ტექნიკა მწკრივთა-შორისის დამუშავებისას, მობილური და ხელის აპარატები — ჩაის ფოთლის კრეფის დროს.

ამ ზამთრის დღეებში, წვიმისა და ტემპერატურის მერყეობის მიუხედავად, აფხაზეთის ჩაის პლანტაციებში არც ერთი დღით არ წყდება მუშაობა.

ავწონ-დავწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი და გადავწყვიტეთ შეათე ხუთწლედის მეოთხე წელს მოვკრიფოთ და სახელმწიფოს ჩავაბაროთ ხულ ცოტა 82 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მათ შორის გალის რაიონში — 40,4 ათასი ტონა, ოჩამჩირის რაიონში — 31,8 ათასი ტონა.

მოვუწოდებთ საქართველოს სსრ ყველა მეჩაიეობის რაიონის მშრომელებს 1979 წელს გადააჭარბონ შარშანდელ მიჯნას, მიაღწიონ თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჰექტარობრივი მოსავლიანობის ზრდასა და ჩაის ფოთლის ხარისხის გაუმჯობესებას.

მტკიცედ გვწამს, რომ საქართველოს სსრ ჩაის პლანტაციების მშრომელები, სპეციალისტები, წარმოების მეთაურები, რესპუბლიკის მეცნიერები, კომუნისტები და კომკავშირელები, რომლებიც მხარს დაუჭერენ ჩვენს მოწოდებას, ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რათა წლეულდანელი წელი გადააქციონ დამკვრელური შრომის წლად, მიაღწიონ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების რეალიზაციას.

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲛᲘᲚᲔᲒᲣᲚᲘᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ.

ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲦᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

ᲢᲧᲕᲐᲠᲩᲔᲚᲘ. (საკ. კორ.). წლის დასაწყისიდან კარგი სტარტი აიღო ტყვარჩელის ქვანახშირის ენერგეტიკული გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა. მან ვალდებულება იკისრა ვადაზე ადრე შეასრულოს ხუთწლედის მეოთხე წლის დავალება და გეგმის გადამეტებით მრეწველობას მიაწოდოს 8 ათასი ტონა ქვანახშირის კონცენტრატი.

გამამდიდრებლებმა პირველი შრომითი გამარჯვება უკვე იზეიმეს. იანვრის დავალება ვადამდე შეასრულეს და რუსთაველ მეფოლადეებს ზეგეგმითი 2.500 ტონა მაღალხარისხოვანი ქვანახშირის კონცენტრატი გაუგზავნეს.

ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲔᲠᲐ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ. 8 თებერვალი. (საკ. კორ.). აქ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მიღებას მიეძღვნა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც ინსტიტუტის სააქტო დარბაზში მოეწყო.

მიტინგი დაიწყო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივნის შ. წულეისკირის შესავალი სიტყვით.

გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა ზ. ანჩაბაძემ ილაპარაკა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშობლიურ მზრუნველობაზე, იმ დიდ ყურადღებაზე, რომლითაც გარემოსილია ახალი ადამიანის, მაღალ კვალიფიციური სპეციალისტების აღზრდის საქმე, საყოველთაო მნიშვნელობის ღონისძიებებზე, რომლებიც რესპუბლიკაში ხორციელდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით. ეს არის სახალხო მეურნეობისა და კულტურის უმაგალითო აღმავლობისათვის დაუცხრომელი ზრუნვა, შეურიგებელი ბრძოლა ყოველგვარ ნეგატიურ გამოვლინებათა წინააღმდეგ, ყოველდღიური მეცადინეობა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია ის ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა შრომისა და ცხოვრების. პირობების განუხრელი ამაღლებისათვის.

შემდეგ ინსტიტუტის რექტორმა დამსწრეთ გააცნო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება სოხუმში სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის შესახებ, რაც მიღწეულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად.

მიტინგის მონაწილეებმა გულთბილი მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას და პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა სახელით აღუთქვეს, რომ ინსტიტუტის ყველაფერს იღონებს მუშაობის ისე გარდაქმნისათვის, როგორც მომავალ უნივერსიტეტს შეეფერება.

მიტინგს ესწრებოდა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ცუგბა.

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲗ

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ Ს. ᲭᲐᲜᲑᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ

— **ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ** დედაქალაქში, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ს. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორმა, საქართველოსა და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტმა **შ. ფაჩალიამ,** — ამიერიდან იქნება არა ერთი, არამედ ორი დრამატული თეატრი — აფხაზური და ქართული. ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში ზემდგომი სადირექტივო ორგანოების დადგენილებით მოხდა, ორივე კოლექტივს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს.

ახალი სეზონი აფხაზურმა თეატრმა გახსნა შ. აჯინჯალის პიესით „წყაროს ხმა“. შემდეგ კი მაყურებელი ნახავს თეატრის ახალ წარმოდგენას ე. შვარცის ზღაპარს „ჩრდილს“, რომელსაც რეჟისორი ნ. ჩიქოვანი დადგამს. თეატრის ახალი სეზონის მნიშვნელოვანი წარმოდგენა იქნება დრამატურგ ა. მუკბას ისტორიული პიესა „როცა ყველა კარი ღიაა“. ამ პიესას დგამს აფხაზური თეატრის მთავარი რეჟისორი, აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. კორტავა. წარმოადგენენ აგრეთვე ბერძნული კლასიკის ნიმუშს „ელექტრას“, რომელსაც დგამს აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. მარხოლია. ასევე განზრახულია დაიდგას შექსპირის უკვდავი პიესა „მაკბეტი“.

ქართული თეატრის კოლექტივი თავის ახალ სეზონს 25 თებერვალს გახსნის.

Ი. ᲑᲝᲒᲔᲩᲘᲐ,
„ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲪ. ᲙᲝᲠ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲡᲡᲠ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოიწონა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს რატიფიკაციისათვის წარუდგინა სსრ კავშირისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელსაც 1978 წლის 5 დეკემბერს მოაწერეს ხელი მოსკოვში.

უძღვნიან არჩევნების დღეს

4 მარტს — კვარტალის დავალება

კვაისა. (საკ. კორ.). **დაბა კვაისის მაღაროელებმა, იანვარი, წლის პირველი თვე კარგი შრომით აღნიშნეს. გეგმის გადამეტებით ათობით ტონა ზეგეგმითი პროდუქცია მისცეს სამშობლოს.**

მაღალი შრომითი მაჩვენებლები მიღწეულია წარმოებაში მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის შედეგად. მოწინავე მაღაროელები პ. ბაზაევი, ვ. ცხოვრებოვი, პ. პანიევი, ფ. თედეევი, ა. ხუბაევი და სხვები ახლა არჩევნების აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან და ყოველდღიურ დავალებებს 120-125 პროცენტით ასრულებენ. მათი მიზანია 4 მარტისათვის შეასრულონ პირველი კვარტალის დავალება.

ვალდებულება მესრულდება

ცხინვალი. (საკ. კორ.). **ქიმიური ქარხნის კოლექტივი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შრომითს ვახტზე დგას. საამქროებსა და ბრიგადებს შორის ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.**

თავდადებული შრომის ექო შარშანდღიდან მოდის. ქიმიკოსებმა გადაჭარბებით შეასრულეს მეათე ხუთწლედის მესამე წლის დავალებები. გეგმით გათვალისწინებული 3 მილიონ 35 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 3 მილიონ 70 ათასი მანეთის ნაწარმი. გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 81 ათასი მანეთის პროდუქცია.

ქარხნის მშრომელებს გადაწყვეტილი აქვთ პირნათლად შეასრულონ არჩევნების დღისათვის ნაკისრი ვალდებულებები.

გ. თედეევი.

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შედეგ

სოფლის მეურნეობის მტკივნეულ საკითხებზე გაზეთში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებზე რედაქციას უპასუხებენ: საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომი, რესპუბლიკური გაერთიანება „საქმთავარენერგო“.

„ბოსტნეული... დასალპობად?!“

„**კომუნისტის**“ გასული წლის 12 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „ბოსტნეული... დასალპობად?!“; რომელიც ეხებოდა გარდაბნის რაიონში ბოსტნეულის რეალიზაციის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დ. **მაღალაშვილი** გვწერს:

კორესპონდენციაში აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსწორებისა და მეურნეობებში არსებული პროდუქციის რეალიზაციის დასაჩქარებლად გაერთიანების თათბირზე საგანგებოდ განვიხილეთ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი, თათბირს ესწრებოდნენ „თბილისლიბოსტანვაჭრობის“ ხელმძღვანელები და საცალო ქსელის მუშაკები. „თბილისლიბოსტანვაჭრობის“ ხელმძღვანელი მუშაკები მკაცრად გაფრთხილეს, ხოლო ლენინის რაიონის განყოფილების № 28 მაღაზიის გამგის ჰ. გოგონძიის, №62 მაღაზიის გამგის ნ. ხუნწარიას, № 69 მაღაზიის გამგის ე. ალადაშვილის, № 15 მაღაზიის გამგის მ. გრძელიშვილის, ოქტომბრის რაიონის განყოფილების № 53 მაღაზიის გამგის ზ. მესხიძის, № 10 მაღაზიის გამგის ი. მათიკაშვილის, ორჯონიკიძის რაიონის განყოფილების № 112, № 93 მაღაზიების გამგეების გ. ფერამიას და გ. გოზალიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად და შესაბამისი ზომების მისაღებად გადაეგზავნა „თბილისლიბოსტანვაჭრობას“.

გაერთიანების ბრძანებით „რუსთავხლიბოსტანვაჭრობის“ № 1 მაღაზიის გამგეს გ. ლობუანიძეს და № 2 მაღაზიის გამგეს ნ. აბაშიძეს, იმის გამო, რომ გასაყიდად არ ჰქონდათ კომბოსტო, გამოცხადათ საყვედური, ხოლო „რუსთავხლიბოსტანვაჭრობის“ დირექტორს ა. გურგენიძეს გაფრთხილება მისცეს.

გაერთიანების ხელმძღვანელობამ საგანგებო კონტროლი დაუწესა თბილისისა და რუსთავის სავაჭრო ქსელის ბოსტნეულით რიტმულად და სავალდებულო ასორტიმენტით მომარაგებას.

„პირუტყვს მოვლა უნდა“

„**კომუნისტის**“ გასული წლის 3 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა რედიოს მასალა „პირუტყვს მოვლა უნდა“, რომელიც ეხებოდა ახმეტის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში პირუტყვის მოვლა-პატრონობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ბატაშვილი გვწერს:

რედიოს დროს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ახმეტის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში, ფერმებთან მიზიდულია საკმარისი რაოდენობის საკვები, სადაც საჭირო იყო პირუტყვის სადგომები შეაკეთეს და დაათბუნეს. დაიგო სადენინფექციო ხალიჩები და მოეწყო ბარიერები, გამართულად მუშაობს ფერმებში დამოწტაუებული მექანიზმები. პირუტყვს უხეში საკვები ძირითადად წინასწარ შემზადებული სახით ეძლევა, გაუმჯობესდა საერთოდ პირუტყვის მოვლა-პატრონობა, რამაც ხასურველი შედეგები მოგვცა. პირუტყვის გამოზამთრება ნორმალურად მიმდინარეობს. გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის 1978 წლის გეგმა-დავალებები, შენარჩუნებულია პირუტყვის დიდი წველადობა.

საშენი მასალების ნაკლებობის გამო გაჭიანურდა მაღრაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საკვების შემამზადებელი საამქროს, ქისტაურისა და ზემო ხოდაშნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში ხის ტიპის საღორეების მოწყობა. ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მალე დაამთავრონ მათი მშენებლობა.

„ოღლით და ნახეთ ლენტეხი“

ლენტეხის რაიონის ლაფურის მთაზე განლაგებული მეცხოველეობის ფერმების ელექტრიფიკაციის გაქიანურების საკითხს ეხებოდა „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 11 იანვრის ნომერში დაბეჭდილი საკუთარი კორესპონდენტის ვ. ცირეკიძის კრიტიკული წერილი. ამასთან დაკავშირებით „საქმთავარენერგოს“ უფროსი უ. ცქვიტინიძე, რომელიც კრიტიკას სამართლიანად მიიჩნევს, რედაქციას ატყობინებს:

„**საქმთავარენერგოს**“ „**ენერგოჭესპროექტის**“ **საქართველოს გაწყოფილების შეკვეთით წელს მზად ექნება ლაფურის მთაზე განლაგებული მეცხოველეობის ფერმების ელექტრიფიკაციის 10 კილომეტრიანი ელექტროგადამცემი ხაზის გადასამშავებელი ახალი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ხოლო ამის შემდეგ განხორციელდება მშენებლობა.**

ფერმების ტერიტორიის ელექტროჭესლის გამნაწილებელს, სატრანსფორმატორო ქვესადგურებს დააპროექტებს და მშენებლობას განახორციელებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

სწავლობენ მეგობართა გამოცდილებას

საქართველოში რამდენიმე დღეა სტუმრად არის ბოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიულ და სახელმწიფო მუშაკთა ჯგუფი, რომელსაც მეგობრობა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის კადრების განყოფილების გამგის მოადგილე შ. მარშალი. პოლონელი მეგობრები — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ხანმოკლე კურსების მსმენელები — ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობის გამოცდილების შესასწავლად.

გაიმართა შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. კოლბინი სტუმრებს ესაუბრა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების მიმდინარეობის შესახებ.

შეხვედრას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების [illegible] ზაბეშვილი, [illegible] ბოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიულ და სახელმწიფო მუშაკთა ჯგუფი ჩვენს რესპუბლიკაში ყოფნის დროს შეხვედა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ო. ჩერქეზიას, აგრეთვე შეხვედრები ჰქონდა რესპუბლიკის მსუბუქი, კვების მრეწველობის, ფინანსთა, ვაჭრობის სამინისტროებში, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტში, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრული და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში.

პოლონელი სტუმრები ეწვივნენ კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეს. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჟ. შარტავამ მათ გააცნო რესპუბლიკის კომკავშირული კადრების მომზადების სისტემა.

პოლონელი მეგობრები აგრეთვე იყვნენ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტში, მეტალურგიულ ქარხანაში, გარდაბნის, თელავის, ლაგოდეხისა და გურჯაანის რაიონების მეურნეობებში,

(საქინფორმი).

ღირსეული კანდიდატები

ამომრჩეველთა შეხვედრები ც. მ. დეკანოიძესთან და ყ. რ. ქელეხსაევთან

ქუთაისის ლითოფონის ქარხნის კულტურის სახლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მქსოველის ციური მიხეილის ასულ დეკანოიძის შეხვედრა თავის ამომრჩეველებთან.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მეორე საქსოვი საამქროს პარტბიუროს მდივანმა გ. ა. გოგოლაძემ დამსწრეთ გააცნო ც. მ. დეკანოიძის შრომითი ბიოგრაფია და საზოგადოებრივი საქმიანობა. მან დეპუტატობის კანდიდატი დაახასიათა როგორც ენერგიული მშრომელი, კომკავშირული აქტივისტი. გაერთიანებაში მუშაობის ათი წლის მანძილზე ც. დეკანოიძემ კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მან დიდ შრომითს წარმატებებს მიაღწია. ხუთწლედის განვლილი სამი წლის მანძილზე დავალებით გათვალისწინებული 30.709 მეტრის ნაცვლად გამოუშვა 33.940 მეტრი ნატურალური აბრეშუმის ქსოვილი. მის მიერ დამზადებული მთელი პროდუქცია ხარისხის სახელმწიფო ნიშნით არის მარკირებული. დეპუტატობის კანდიდატი დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა მუშების აღზრდას.

ნდობით აღჭურვილმა პირმა ყველა ამომრჩეველს მოუწოდა არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ აბრეშუმის გაერთიანების სამღებროსაჩითავი წარმოების მუშა ზ. გ. ჭეიშვილი, ლითოფონის ქარხნის ბრიგადირი ა. ი. კორძაძე, №37 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე ე. დ. ციანრიძე, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ე. თ. შეწირული და სხვები. მათ თქვეს, რომ, ამომრჩეველებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვით აღფრთოვანებულნი, ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა წარმატებით შეასრულონ მიმდინარე წლისა და მეოთხე ხუთწლედის დავალება. მათ იკისრეს ახალი ვალდებულებანი, რომლებიც ითვალისწინებს წარმოების ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

შეხვედრაზე ც. დეკანოიძეს გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩეველებს მაღალი ნდობისათვის და აღუთქვა, რომ მთელ თავის ძალას, ცოდნასა და ენერგიას მოახმარს მშრომელთა ბედნიერებისათვის ბრძოლის საქმეს. (საქინფორმი).

ზნაური. (საქინფორმის კორ.). **აქ № 739 ზნაურის საარჩევნო ოლქში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ყაზბეგ რაჟდენის ძე ქელეხსაევის შეხვედრა ამომრჩეველებთან.**

შეხვედრა გახსნა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, სოფელ თერეგვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ს. ვ. თედეევმ.

ტრიბუნაზეა დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი, ზნაურის საშუალო სკოლის დირექტორი ც. ი. გუჩმაზოვი. მან აღნიშნა, რომ სოფელ მუგუთის თიბილოვის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მექანიზატორი, შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის ოსტატი ყ. რ. ქელეხსაევი არის მექანიზატორთა დამრიგებელი, დაუფლებულია რამდენიმე მომიჯნავე პროფესიას. კანდიდატი დაჯილდოებულია ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით. მან არა მარტო თანასოფლელების, არამედ სამხრეთ ოსეთის ყველა მიწათმოქმედის, დიდი პატივისცემა დაიმსახურა.

შეხვედრაზე გამოვიდნენ სოფელ თერეგვანის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი პ. ა. პლიევი, სოფელ მუგუთის კოლმეურნეობის კოლმეურნე ვ. ა. კაბულოვი, ზნაურის საბჭოთა მეურნეობის მუშა ი. ნ. მაისურაძე და სხვები. მათ მოუწოდეს ამომრჩეველს ერთსულოვნად მისცენ ხმა ყ. რ. ქელეხსაევს.

შეხვედრაზე გამოსულმა ყ. რ. ქელეხსაევმა დიდი მადლობა გადაიხადა ნდობისათვის, აღუთქვა ამომრჩეველს, რომ ძალ-ღონესა და ენერგიას არ დაიშურებს სამშობლოს, ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის.

ინდივიდუალური მუშაობის აქტუალური საკითხები

8 თებერვალს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლში გაიმართა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის თეორიის, მეთოდიკისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემების შემსწავლელი იდეოლოგიურ მუშაკთა სკოლის მორიგი მეცადინეობა. იგი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენგელჰარდ. მსმენელების — საქართველოს კომპარტიის საარქივო კომიტეტების, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნების, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების, საოლქო, საქალაქო, რაიონული გაზეთების რედაქტორების, იდეოლოგიური და შემოქმედებითი კავშირების პარტიული ორგანიზაციების მდივნების წინაშე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პასუხისმგებელი მუშაკები.

იდეოლოგიური ბრძოლის აქტუალური საკითხები თანამედროვე ეტაპზე — ასეთი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკის ა. ა. საზონოვის გამოსვლის თემა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ლექტორის ვ. ა. იანგარაოვის გამოსვლა. სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში პიროვნების უფლებათა და მოვალეობათა შესახებ ილაპარაკა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ნ ვ. ვიტრუკმა. სსრ კავშირის საგარეო-შორისო მდგომარეობა შიმოიხილა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა მუშაკმა ი. ნ. ვინოგრადოვმა.

სკოლის მსმენელებმა გააანალიზეს და განაზოგადეს რესპუბლიკის ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილება იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ცალკეული მიმართულებების მიხედვით.

ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ლ. ვ. მარშანიამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგის მოადგილემ ვ. გ. ბაქრაძემ.

გაიმართა სკოლის მონაწილეთა შეხვედრა საქართველოს სსრ ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელებთან.

(საქინფორმი).

სოხუმი ოქტომბრის საარჩევნო უბნის აგიტატორები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით დიდ მუშაობას ეწევიან. ისინი მშრომელებს მოუთხრობენ საბჭოთა დემოკრატიის შემდგომ განვითარებაზე, სსრ კავშირის მოქალაქის უფლებებსა და მოვალეობებზე, დეპუტატთა საქმიანობაზე.

სურათზე: აგიტპუნქტის ხელმძღვანელი გ. თოფურია, უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კ. გოგუა ესაუბრებიან ახალგაზრდა აგიტატორებს მ. შეიკინს, ვ. კუზმენკოს, ნ. ჩაავას და ნ. ქორდიანს.

ი. ჰუხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

არჩევნების შესახებ

დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაცია და დაიწყო დეპუტატობის კანდიდატების შეხვედრები ამომრჩევლებთან. არჩევნების მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარება დიდად არის დამოკიდებული იმაზე თუ რამდენად საქმიანად და ორგანიზებულად მოეწყობა დეპუტატობის კანდიდატების შეხვედრები ამომრჩევლებთან. **სსრ კავშირის კონსტიტუციის 102-ე მუხლით „ამომრჩევლები განაწესებს აძლევენ თავიანთ დეპუტატობის კანდიდატებს. სახალხო დეპუტატთა საბჭოები განიხილავენ ამომრჩეველთა განაწესებს, ითვალისწინებენ მათი ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებასა და ბიუჯეტის შედგენის დროს, ორგანიზაციას უნევენ განაწესების შესრულებას და აცნობებენ მოქალაქეებს მათ რეალიზაციას“.**

სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივი გაშლისა და სრულყოფის პირობებში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ამომრჩეველთა განაწესები, რომლებიც სახელმწიფოს მართვაში მშრომელთა ფართო მონაწილეობის, საბჭოების და მათი ორგანოების, აგრეთვე სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანოების საქმიანობაზე ამომრჩეველთა ზემოქმედების ერთ-ერთი ქმედითი ფორმაა.

განაწესებად ითვლება წინასაარჩევნო კრებებზე საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ რეგისტრირებული დეპუტატობის კანდიდატების ამომრჩევლებთან შეხვედრისას წამოყენებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე წინადადებანი, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტასთან, დასაბუთებულია ეკონომიურად და ითვალისწინებს ადგილობრივი რეზერვების და შესაძლებლობათა უფრო ფართო და ეფექტიან გამოყენებას.

ამომრჩეველთა განაწესები მოწმობს შრომელთა ღრმა დაინტერესებას ეკონომიკისა და კულტურის განვითარებით, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებით და ა. შ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში განაწესებს თავისი ისტორია აქვს. ამომრჩევლები განაწესებს იძლევიდნენ ჩვენი სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე, იცვლებოდა მხოლოდ განაწესების შინაარსი, მათი აღრიცხვისა და შესრულების ორგანიზაციული ფორმები.

ამომრჩეველთა განაწესებს ჩვენს ქვეყანაში ამჟამად კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეს გასაგებიცაა, რადგან განაწესებში ასახულია ამომრჩეველთა ნება-სურვილი, რათა მათი სახალხო წარმომადგენლები, სახალხო ხელისუფლების ორგანოები მუშაობდნენ კიდევ უფრო კარგად. ამომრჩეველთა განაწესები ფაქტიურად მოიცავს სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობის ყველა მხარეს — ეკონომიკასა და კულტურას, სახალხო განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვას, საბინაო-კომუნალური მშენებლობას, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებას, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას, მოქალაქეთა უფლებების დაცვას და სხვ.

ამომრჩეველთა განაწესების დიდ მნიშვნელობაზე ნათლად მეტყველებს 1978 წლის 24 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე ასეთი საკითხის განხილვა „ამომრჩეველთა განაწესებზე ბელორუსიის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის პრაქტიკის შესახებ“ და აბ საკითხთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემული დებულებანი.

შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან

ამომრჩეველთა განაწესები

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „საკითხი განაწესების შესახებ შემოხვევით როდი ავირჩიეთ, განაწესები ჩვენი დემოკრატიის, სიტყვის კი არა, საქმის ნამდვილი და რეალური დემოკრატიის მკაფიო გამოვლინებაა. განაწესები გამოხატავს მშრომელი ადამიანის ნრუნვას თავიანთ სახელმწიფოს საქმეებისათვის, საზოგადოებრივი ინტერესებისათვის, და ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს გავფანტოთ ხალხის ინიციატივის ეს მარცვლები“.

მოიწონა რა ამომრჩეველთა განაწესებზე ბელორუსიის სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის დადებითი გამოცდილება, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოებსა და სამინისტროებს იხელმძღვანელონ სსრ კავშირის კონსტიტუციით და უზრუნველყონ ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის მაღალი დონე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოაღნიშნულ სხდომაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემული მითითებები, კონკრეტული ღონისძიებანი დასახა ამომრჩეველთა განაწესზე მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლებს და ყველა ამომრჩეველს შეუძლიათ წარმოადგინონ კრების განსახილველად წინადადებები ამომრჩეველთა განაწესებში შესატანად.

წინასაარჩევნო კრება ყველა შემოსულ წინადადებას განიხილავს მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის, კანონიერების და შესრულების თვალსაზრისით. თუ საჭირო გახდა, ამომრჩევლებს უნდა მიეცეთ საჭირო განმარტება შემოსული წინადადების მოობაზე. ამომრჩეველთა კრებებზე უნდა მოხდეს ამომრჩეველთა ყველა წინადადების ყოველმხრივ განხილვა იმდაგვარად, რომ ამომრჩევლებმა ძირითადად თვითონ განსაზღვრონ განაწესების შესრულების რეალობა და ვადები.

ამომრჩეველთა განაწესებში შეტანილი უნდა იყოს ისეთი წინადადებები, რომლებსაც აქვს საერთო საზოგადოებრივი მნიშვნელობა და გამოხატავს ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრებთა უმრავლესობის ინტერესებს..

წინასაარჩევნო კრების გადაწყვეტილება ამომრჩეველთა განაწესების შესახებ უნდა გადაეცეს შესაბამის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ ამომრჩეველთა განაწესების განზოგადება მოითხოვს სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური მდგომარეობის ღრმა ცოდნას, არსებული რეზერვებისა და საშუალებების ცოდნას.

განაწესები, რომლებიც არ მოითხოვს რაიმე დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას, უნდა შესრულდეს. დაუყოვნებლივ, ხოლო განაწესები, რომლებიც ზემდგომი ორგანოების კომპეტენციაში შედის, იგზავნება მათს განსახილველად. განაწესების შესრულების ღონისძიებებში აღნიშნული უნდა იყოს: განაწესები, რომლებიც შესრულებული იქნება ბიუჯეტისა და დამატებით მიღებული შემოსავლის სახსრებით, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ და განაწესები, რომლებიც შესრულებული იქნება თვით ამომრჩეველთა შრომითი მონაწილეობით.

ამომრჩეველთა განაწესები წინასწარ ეგზავნება დასკვნისათვის საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს ხელმძღვანელებსა და დარგობრივ მუდმივ კომისიებს მათი შესრულების შესაძლებლობისა და შესრულების ვადების დასადგენად. ამომრჩეველთა განაწესების განხილვის ასეთი პრაქტიკა ამაღლებს პასუხისმგებლობას როგორც აღმასრულებელი კომიტეტის, ისე მისი განყოფილებების, სამმართველოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობისას განაწესების შესრულებისათვის.

ამომრჩეველთა მიერ დეპუტატობის კანდიდატებისათვის მიცემული განაწესები მოწმობს, რომ მატერიალური დოვლათის ზრდისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებასთან ერთად ფართოვდება მათი კულტურული მოთხოვნილებანი. განათლების, კულტურის, სამედიცინო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მიღწეული დონე უკვე ველარ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს. სწორედ ამიტომ ამომრჩევლები, სხვა დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ პრობლემებთან ერთად, განაწესებში ყურადღებას ძირითადად ამ კატეგორიის საკითხებზე ამახვილებენ.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის პრაქტიკაში სულ უფრო ფართოვდება საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სახსრების გაერთიანების პრაქტიკა. რესპუბლიკის მასშტაბით კოოპერირებულმა სახსრებმა 23.964,6 ათასი მანეთი შეადგინა, რომელიც ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას მოხმარდა. ამომრჩეველთა შრომითი მონაწილეობით შესრულდა 1.224,9 ათასი მანეთის სამუშაოები. ამომრჩეველთა განაწესების შესრულების შედეგად რესპუბლიკაში აშენდა სკოლები, კლუბები, ბიბლიოთეკები, საბავშვო დაწესებულებები, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. მოეწყო გზები, დასახლებები, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკმაყოფილდა სასმელი წყლით და სხვ.

განაწესების შესრულების ერთერთ ღონისძიებად ითვლება დამატებითი სახსრებისა და საშუალებების გამოძებნა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობას სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდებიან, ასეთი საშუალებებს ყოველთვის გამოძებნინან ხოლმე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების შეხვედრები ამომრჩეველებთან მიმდინარეობს საქმიანად და ორგანიზებულად, ამომრჩეველთა აქტიურობის ვითარებაში, რაც ხელს შეუწყობს მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ გაუმჯობესებას.

მ. გალათურია,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების გამგე.

ეწყობა ლექციები, შეხვედრები

ეს დღეები ამომრჩეველთა კლუბებში

გორი. (საკ. კორ.). ყოველდღიურად ასობით აგიტატორი გადის უბნებში ამომრჩეველებთან შესახვედრად. ისინი მშრომელებს ესაუბრებიან საბჭოთა საარჩევნო სისტემაზე, არჩევნების კანონის ცალკეულ დებულებებზე.

განსაკუთრებული ხალხმრავლობაა ამ დღეებში ამომრჩეველთა კლუბში, რომელიც ქალაქის № 4 საშუალო სკოლაშია მოთავსებული. სასკოლო პარტიული ორგანიზაციის ბიურომ თავის ხელმძღვანელობაზე სპეციალურად იმსჯელა არჩევნებისათვის მზადების საკითხებზე, ამოცანებზე. რომლებიც კომუნისტების წინაშე დგას.

ამომრჩეველთა კლუბის სამუშაო გეგმაში ბრავალი საინტერესო საკითხია გათვალისწინებული. კერძოდ, გაიმართება ლექციამოხსენებები, მოეწყობა ახალგაზრდა ამომრჩეველთა შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან, ქალაქის მოწინავე ადამიანებთან.

ტყიბული. (საკ. კორ.). **ამ დღეებში დიდი გამოცოცხლებაა სტალინის სახელობის შახტის ამომრჩეველთა კლუბში. მეშახტეებს აქ ყოველთვის შეუძლიათ წაიკითხონ ახალი გაზეთები და ჟურნალები, გაეცნონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილ სპეციალურ ლიტერატურას.**

ბათუმი. (საკ. კორ.). **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ იდეოლოგიური დარგის მუშაკებს.**

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არჩევნებთან დაკავშირებულ საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის მიმდინარეობას მიეძღვნა პარტიის საოლქო კომიტეტში გამართული თათბირი, რომელიც გახსნა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. გუგუნავამ.

არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის პროპაგანდისტული მუშაობის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციები გააკეთეს ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს რაიკომების მდივნებმა ნ. დუმბაძემ, შ. თურმანიძემ, ფ. ფუტკარაძემ, ე. დეკანაძემ, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ლექტორმა ა. ჩხარტიშვილმა, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ დ. ჭელიძემ, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგემ ნ. ცეცხლაძემ და სხვებმა.

თათბირმა ყურადღება გამახვილა საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის უკეთ წარმართვის, აგრეთვე არჩევნების პერიოდში შრომითი კოლექტივების დარაზმვის საკითხებზე, რომ უკეთ გადავწყვიტოთ ჩვენ წინაშე მდგომი სამეურნეო და პოლიტიკური ამო

მედიცინის დიდი მოამაგე

მოგვითხრობთ ჩვენი ქვეყნის დამსახურებულ პრაქტიკოს ექიმზე ნიკოლოზ რუხაძეზე, რომელსაც დაბადების 100 წელი შეუსრულდა

მაკაია მაკალითი



შრომის გმირი ნიკოლოზ რუხაძე საქართველოს მოსახლეობის საუკუნეობრივი მტრის — მალარიის წინააღმდეგ მებრძოლთა შესანიშნავი თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელია. 1916 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს ორდინატორად, შემდეგ წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პათოლოგიური ანატომიის კურსის ასისტენტი.

1922 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (1936 წლამდე) ნ. რუხაძე მუშაობდა სოხუმში, აფხაზეთის ასსრ ცენტრალური სამალარიო სადგურის თანამშრომლად. 1924 წელს ერთი წლით მიავლინეს ევროპაში, იყო გერმანიაში, საფრანგეთსა და იტალიაში, სადაც ეცნობოდა მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს, მოიაწილეობდა საველე სამუშაოებში. მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ კვალიფიციურად შეუდგა მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას.

ეს შესანიშნავი ექიმი და მოქალაქე სისტემატურად დადიოდა სოფლებში და უსასყიდლოდ მკურნალობდა ავადმყოფებს. 1926 წელს სამალარიო სადგური ნ. რუხაძის ინიციატივით გადაკეთდა ტროპიკულ ინსტიტუტად, რომლის დირექტორად თვითონ დანიშნეს. მასთან ერთად მუშაობდნენ ამ დარგის ენთუზიასტები პ. ჯაფარიძე, ს. ბერულავა, ი. ზიმინი, ს. ავდეევი, შ. გუჯაბიძე და სხვ.

ნ. რუხაძე პრაქტიკოსი მკურნალი იყო, მაგრამ მისმა დიდმა გამოცდილებამ, რომელიც ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე გამოცემულ შრომებში აისახა, მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია მომდევნო თაობას და დღესაც აქტუალურია თავისი შინაარსით.

განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება მალარიის პროფილაქტიკაში. მან პირველად გამოიყენა ჩვენში ბიოლოგიური მეთოდი კოღოს ნაჩეკების მოსასპობად. ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ შტატების წყალსატევებში აღმოჩნდა პატარა — 4-7 სანტიმეტრი სიგრძის თევზი გამბუზია. 1920 წელს მეცნიერებმა დაადგინეს, რომ იგი კოღოს ნაჩეკებით, მატლებითა და ჭუჭრებით იკვებებოდა. პირველად იგი შეიყვანეს ესპანეთში — 1921 წელს, შემდეგ კი იტალიაში — 1922 წელს.

ნ. რუხაძემ 1925 წლის 18 ივლისს სოხუმში ჩამოიტანა 153 ცოცხალი გამბუზია და მაშინვე აუზში ჩაუშვა. შემდეგ დაიწყო მათი გავრცელება. ერთ-ერთ წყალსატევში, სადაც კოღოს დიდძალი ნაჩეკები იყო, გაუშვეს 35 თევზი, რომლებმაც შვიდ საათში მთლიანად მოსპეს მატლიცა და ჭუჭრიც. ამ თევზის ბიოლოგიისა და გამოყენების საკითხებს ნ. რუხაძემ 4 ნაშრომი უძღვნა.

ამის შემდეგ გამბუზია სოხუმიდან გაავრცელეს საბჭოთა კავშირის სამხრეთ რესპუბლიკებში. საქართველოში კოღოს წინააღმდეგ ბრძოლას ამ ბიოლოგიურმა მეთოდმა, ეკოლოგიურ მეთოდთან ერთად, თანდათანობით პრაქტიკიდან განდევნა შხამქიმიკატები.

ამ გამოჩენილი ექიმის სახელთან არის დაკავშირებული აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში კოღოს წინააღმდეგ მებრძოლი ტექნიკური მუშაკების — ბონიფიკატორების შტატის შემოღება მალარიის საწინააღმდეგო დაწესებულებებსა და სანეიდსადგურებში.

ნიკოლოზ რუხაძემ დიდი ღვაწლი დასდო მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს, როგორც პროფილაქტიკური მედიცინის დიდმა მოამაგემ. სწორედ ამიტომ მიენიჭა მას შრომის გმირის საპატიო წოდება. მისი სახელი ყოველთვის დიდი პატივით მოიხსენიება საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის დაცვის ისტორიაში.

გ. მარუაშვილი,
სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

ნიუ-იორკი, 8 თებერვალი. (საკდესი). დღეს მთელ ირანში ეწყობა მახობრივი დემონსტრაციები ბაზარგანის დროებითი მთავრობის მხარდასაჭერად. მარტო თეირანში სამ მილიონამდე მანიფესტანტი გამოვიდა ქუჩებში და კვლავ მოითხოვდა შაჰის მიერ დანიშნული ბახთიარის კაბინეტის დაუყოვნებლივ გადადგომას, მონარქიული წყობილების ლიკვიდაციასა და რესპუბლიკის გამოცხადებას. როგორც საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, დღევანდელ დემონსტრაციაში პირველად მონაწილეობენ აშკარად ფორმიანი სამხედრო მოსამსახურეები. ფრანს პრესის კორესპონდენტი იტყობინება, რომ დემონსტრანტთა ერთ-ერთ კოლონასთან ერთად თეირანის ქუჩებში ათასზე მეტმა სამხედრო მფრინავმა და სამხედრო-საჰაერო ძალების სახმელეთო სამსახურების მუშაკებმა ჩაიარა.

აიათოლა ჰომეინს და ბაზარგანს დეპეშა გამოუგზავნა ბენდერ-აბასის სამხედრო ბაზის ოფიცერთა ჯგუფმა, რომელშიც ლოიალობას უცხადებენ დროებითს მთავრობას. ანალოგიურ დეპეშებს გზავნიან სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეები, მუშები, გლეხები, ინტელიგენციის, სამოდელოების წარმომადგენლები. იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს ცნობით, დროებითი მთავრობის მომხრენი უკვე მთლიანად უწევენ კონტროლს ყუმის, ისპაანის, შირაზისა და ბევრი სხვა ქალაქის მდგომარეობას.

ლონდონის **„გარდიანი“** ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ მთავრობის აპარატი „უკვე ირღვევა“. „ფაინენშლ ტაიმსის“ აზრითაც, „ირანის ოფიციალური მთავრობა, ალბათ, მალე დაემხობა“, ამასთანავე გაზეთი აღნიშნავს, რომ ბაზარგანი არ ჩქარობს თავისი კაბინეტის შედგენას, ცდილობს თავიდან აიცილოს არმიასთან კონფრონტაცია.

დღეს თეირანში გამართულ პრესკონფერენციაზე ბახთიარი ამტკიცებდა, თითქოს მხოლოდ მისი მთავრობა იყოს „კანონიერი“, მან კვლავ განაცხადა, რომ

ირანი: ძალთა გადამწყვეტი მოსინჯვა

არ აპირებს გადადგომას. „თუ ისინი მოქმედებას დაიწყებენ, მე საკადრის პასუხს გავცემო“, — მუქარით დასძინა მან.

ამავე დროს ირანის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსმა, გენერალმა ყარაბაღიმ განაცხადა, რომ არმიამ წინანდებურად, უნდა „დაიცვას კონსტიტუცია და კანონიერი მთავრობა“.

იტალიური ყოველკვირეული **„პანორამა“** ამასთან დაკავშირებით წერს: „არმიასთან შეტაკების თავიდან აცილების მიზნით აიათოლა ჰომეინმა სცადა მოლაპარაკება დაეწყო ყველაზე ზომიერ გენერლებთან. ჰომეინმა იცის, რომ სამხედრო-საჰაერო ძალები, ისევე როგორც ეროვნული სამსახურის ჯარისკაცებისა და უმცროსი ოფიცრების დიდი ნაწილიც, უკვე მას მიემხრო. მაგრამ მან ისიც იცის, რომ გადატრიალების თავიდან ასაცილებლად საკმარისი არ არის მარტოოდენ შეიარაღებული ძალების ნაწილის მიმხრობა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ რიგითს ჯარისკაცებს ახლოს არ აკარებენ იარაღს“.

მეორე იტალიური ყოველკვირეული **„ექსპრესი“** აღნიშნავს შეერთებული შტატების ავბედითს როლს ირანის ამბებში. „აიათოლა ჰომეინის უახლოეს მომხრეებს ეშინიათ, — წერს ყოველკვირეული, — რომ ამერიკელებმა ირანში არ გამოიყენონ ეგრეთწოდებული „ჩილეს ტაქტიკა“, რომლის არსი ის არის, რომ გაახელისუფლიანოს ჰომეინი, შემდეგ კი ყოველნაირად გამოუთხაროს ძირი, სანამ არმიის ჩარევა არ გახდება საჭირო ქაოსის ლიკვიდაციისათვის, რომელსაც თითქოს რესპუბლიკური წყობილება გამოიწვევს“.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო კაიროდან იტყობინება, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი სადათი ტელეფონით ელაპარაკა ირანის შაჰს, რომელიც ახლა მაროკოში იმყოფება, და კვლავაც მიიპატიჟა იგი ეგვიპტეში. შაჰსა და მისი ოჯახისათვის, ნათქვამია ცნობაში, ეგვიპტის დედაქალაქში უკვე ამზადებენ დიდებულ სასახლეს, რომელიც წინათ დამხობილი მეფის ფარუკის ოჯახს ეკუთვნოდა.

საკდესი

ყოველი მხრიდან

9 თებერვალი

მშრომელთა სოლიდარობა

დუბლინი. მეხუთე თვეა გრძელდება ინგლისის საავტომობილო კომპანია „ბრიტიშ ლეილანდის“ დუბლინის საწარმოთა მუშების გაფიცვა. გაფიცულებს, რომლებიც მოითხოვენ ხელფასის მომატებას, მხარს უჭერს ირლანდიის პროფკავშირული მოძრაობა. მთელი რიგი პროფკავშირების მოწოდებით „ბრიტიშ ლეილანდის“ 500 მუშის მამაცური ბრძოლის მხარდაჭერის ნიშნად გაფიცვა გამოაცხადეს ირლანდიის დედაქალაქის ბევრი ხარეწველი სწარმოს მშრომელებმა.

ვინ მეტად დაზარალდა?!

ჯაპარტა. ინდონეზიის ავიახატარსპორტო კომპანიამ „მერნატი ნუსანტარამ“ გამოაცხადა, რომ სამუშაოდან დათხოვეს 727 მოსამსახურე. ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ ეს გამოწვეულია ფინანსური სიძნელეებით, რომლებსაც ავიაკომპანია განიცდის. ბოლო დროს საჰაერო ტვირთზიდვა ხაზარალო გახდა, და „მერნატი ნუსანტარა“ ყოველთვიურად კარგავს 250 მილიონამდე რუპიას იმასთან დაკავშირებით, რომ აზრდება ავიაკომპანიის კუთვნილი თვითმფრინავების, ძირითადად ამერიკული წარმოების თვითმფრინავების საექსპლოატაციო ხარჯები.

ახალი პრეზიდენტი

● ალჟირი. ალჟირში გამოაცხადეს აქ ჩატარებული პრეზიდენტის არჩევნების შედეგები. პრეზიდენტად არჩეულია ეროვნულ - განმათავისუფლებელი ფრონტის პარტიის მდივანი ბენჯედიდ შადლი.

ღამე ბალატონის ტბასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალი მაია ნემიროვა მუშაობს ნარკვევების წიგნზე, რომელშიც ასახული იქნება დიდ სამამულო ომში მონაწილე ქართველი ხალხის სახელოვანი შვილების საბრძოლო დამსახურება, მშვიდობიანი მშენებლობის წლებში მათი მუშაობა. ზვეჭდავთ ერთ-ერთ ნარკვევს, რომელიც ეხება საბჭოთა კავშირის მბრძოლ, გენერალ-ლეიტენანტ გ. ალფაიძეს.

— **ამხანაგო** პოდპოლკოვნიკო, ტანკები!

წყვდიადი ღამეში ტელეფონისტის ხმა უჩვეულო მღელვარებით ქუხდა.

საარტილერიო პოლკის მეთაური პოდპოლკოვნიკი გალაქტიონ ალფაიძე უკვე ფამფეიზლდა. სულ ერთი წუთის წინათ მან უკანასკნელი მითითებანი მისცა საარტილერიო დივიზიონების მეთაურებს და თავისი სათვალთვალო პუნქტიდან გაუშვა და მთელი დღის ცაძაბული, ფიცხელი ბრძოლის შემდეგ ძილი მოეკიდა. ოქვე მიდო თავი სანგრის ბრუსტვერზე და ჩაეძინა.

„ტანკები?.. ღამით?.. ხომ არ მესიზმრება?“ — ალფაიძე საბოლოოდ გამოფხიზლდა და გაკვირვებულმა კვლავ იკითხა:

— ტანკები?.. ღამით?.

...აი უკვე მეხუთე დღეა აქ, ბალატონის ტბის მიდამოებში, ბუდაპეშტის დასაცავითით სისხლსმღვრელი ბრძოლები იყო გაჩაღებული. უკვე აშკარად მიჩანდა ომის ბოლო, და რაც უფრო ახლოვდებოდა იგი, მით უფრო გაფფრებულ წინააღმდეგობას გვიწევდნენ ფაშისტები. საბჭოთა ჯარებმა დუნაი გადალახეს და გაათავისუფლეს უნგრეთის დედაქალაქის დასავლეთი ნაწილი — ბუდა, პეშტში კი, ხიდის მეორე მხარეს, რომელიც ქალაქს ორად ყოფს, მოწინააღმდეგის დიდი დაჯგუფება გამაგრებულიყო. საბჭოთა სარდლობის წინადადებას კაპიტულაციის შესახებ ჯიუტად უარყოფდნენ ფაშისტები; ჰიტლერელებს ჯერ კიდევ ეგონათ, რომ შეძლებდნენ საბჭოთა ჯარების მტკიცე ალყის გარღვევებს. ამ იმედს განუმტკიცებდა მათ დასავლეთიდან მომავალი მაშველი ჯარი.

ამ ბრძოლებში მთავარი ტვირთი არტილერისტებს აწვებოდათ, რადგან პირდაპირ დამიზნების ზარბაზნები ყველაზე ეფექტიანი საშუალება იყო მოწინააღმდეგის ტანკების წინააღმდეგ. ეს საარტილერიო პოლკის მეთაურის პოდპოლკოვნიკ გალაქტიონ ალფაიძისაგან დიდ მხედრულ ოსტატობას, გამბედაობასა და თავდადებას მოითხოვდა.

მაგრამ როგორც კი ღამე ჩამოწვებოდა, მტერი იძულებული იყო შეეწყვიტა სატანკო ბრძოლები. წყვდიადი აჩერებდა ტანკებს. აი ახლა კი ღამით მოდიან. მოდიან პირდაპირ. პოდპოლკოვნიკის გამოცდილმა ყურმა შენიშნა: ტანკები მასირებულად მოდიოდნენ.

რა ქნას, — დაყოვნების დრო აღარ იყო. ერთ მთლიანად გაერთიანდა ტკინი და გული, საფეთქლებში ჩაქუჩივით ურტყამდა სისხლი, რომელიც თავბრუდამხვევი სისწრაფით მიმოიქცეოდა. უნიკალი მტერი ერთიორად საშიშია! უნდა ისროს! ხილული გახადო უხილავი მიზანი! მაგრამ როგორ?..

ალფაიძემ გუნებაში თვალი გადაავლო თავისი პოლკის პოზიციებს, ნათლად წარმოიდგინა გზები, საიდანაც მტრის ტანკები მოდიოდნენ ამ პოზიციებისაკენ. და უეცრად მოაგონდა თოვლით დაფარული ზვინების ბუნდოვანი სილეტები. თავა, რომელიც გლუნებმა შემოდგომაზე მოთიბეს და დაზვინეს. თავა, რა თქმა უნდა, ნესტიანი იქნება. მაგრამ ბენზინი რომ გადაასხამ...

ალფაიძე ტელეფონით დაუკავშირდა საარტილერიო დივიზიის მეთაურს გვარდიის პოლკოვნიკ გურტოვენკოს და მოახსენა თავისი გადაწყვეტილება. და მაშინვე გასცა ბრძანება:

— ცეცხლი წაუკიდეთ ზვინებს! სწრაფად!

თავა აბრიალდა. ალი ცაში ავარდა და გარემო გაანათა. ახლა კი გამოჩნდნენ მტრის ტანკები. მიზანი ხილული იყო.

და კვლავ ბრძანება:

— მტრის ტანკებს პირდაპირი დამიზნებით! ცეცხლი!

მოულოდნელი განათებითა და საბჭოთა მეზარბაზნეების ზუსტი სროლით შეცბუნებული ფაშისტთა ტანკები შეჩერდნენ.

უკვე შემდეგ, როცა გაფფრებული ბრძოლა დამთავრდა, პოდპოლკოვნიკმა შეიტყო, რომ მტრის ტანკები ღამით საბჭოთა პოზიციებზე ღრმად კი აჯ მოდიოდნენ, გამბედაობით კი არ მოუვიდათ, ოლონდ **ჰიტლერელებს მათთვის** უჩვეულო **ღამის ბრძოლა** გაბედვინა ახალმა **გამოგონებამ** — „ღამის ხილვადობის სამიზნემ“. ამ გამოგონების წყალობით მტერი „ყოველთვის ხილულ“ იყო თვით უწყვდიადეს ღამეში, თვითონ კი უხილავი რჩებოდა. მაგრამ საბჭოთა ოფიცრის გამბედაობამ, საზრიანობამ და სამტკიცემ გზა გადაუღობა, იმედი გაუქარწყლა ფაშისტს ტანკისტებს. საბჭოთა არტილერისტების ზუსტი სროლით აფეთქებულ ტანკებს ზედიზედ ედებოდა ცეცხლი, მაგრამ მტერი არ ცხრებოდა. ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა. არტილერისტებს დიდი ზარალი მოსდიოდათ. მწყობრიდან გამოდიოდნენ მეზარბაზნეთა ჯგუფეულები; ხალხი ყოველ წუთს კლებულობდა. დაჩაჩავს მერე დათვლიან. ახლა კი სროლა! სროლა! მსროლელი კი აღარავინ არის!

და პოლკის მეთაურმა მის თვალწინ დაკარგილებული დამმიზნებლის ადგილი დაიკავა ქვემეხთან. მას მხარში ამოუდგა მისივე ორდინარეცი ვიქტორ ზოლოტოვერხი. სულ ორი კაცია, ჯგუფეულში კი შვიდი უნდა იყოს. მაგრამ ეს ორი თავდადებული კაცი, რომლებიც საძულველ მტრის განადგურების წყურვილმა შეიპყრო, სასწაულს შეასრულებდა.

ზუსტად ისროდა პოდპოლკოვნიკი ალფაიძე. აფეთქდა ერთი ტანკი, იწვის მეორე, შეირყა მესამე, ადგილზე დატრიალდა და დაიფშვნა...

ტანკები კი მოდიოდნენ და მოდიოდნენ...

...ოღონ სიკვდილს თვალებში უყურებ, ერთადერთ წამში მოვიკრიბავ ხოლმე მთელი წარსული, მთელი შენი ცხოვრება. იგი თვალნათლივ, აშკარად წარმოგიდგება მთელი თავისი სისადავით. აი თითქოს შინაგელ ყმაწვილურ ფეხებქვეშ ფრანნობ მიწის სთობოს მშობლიურ ქართულ სოფელ კურსებში. აი მანძილზე გრძნობ ხელში პირმშოს — შოთას სითბოს, რომელიც ჯერ არც კი გინახავს... აი თვალწინ წარმოგიდგება, თანაც ისე ახლოს, რომ გული აგიჩუყდება, საყვარელი ცოლის საშას სახე, სამი უმძიმესი ბრძის წელი მან შენ მხარდამხარ გაატარა. რამდენჯერ აღფრთოვანებულა იგი ცოლის ვაჟკაცობით, მისი ყოველდღიური ვმირობით! რამდენი მეომარი იხსნა სიკვდილისგან მოკრძალებულმა სამხედრო ფერშალმა ალექსანდრა სტეფანეს ასულმა მედეფდეკან!

სიკვდილის წინ მთელი ჭირვარამითა და ბედნიერებით აღსავსე ცხოვრება გაიელვებს მეხსიერებაში და გულს გიწვავს. აი იგი პატარა ბიჭია, მაშას ეხმარება მშობლიურ სოფელში... აი ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი ალაბოტად მეშაობს ქარხანაში. აი, ქუთაისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში შევიდა და ალამებს და ათენებს სახელმძღვანელოებსა და წიგნებზე, 1812 წლის სამამულო ომის, საბჭოთა რუსეთის სამოქალაქო ომის გმირებზე, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის გმირობაზე. მხედრულ ცხოვრებაზე ჯერ კიდევ ბავშვობიდან ოცნებობდა, როცა თავის ფეხშიშველა ტოლებთან ერთად ომობანას თამაშობდა... აი ელექტრიკოსის დიპლომით ჩადის რიონის ჰიდროელექტროსადგურში. ხუთი წელი ამუშავა იქ. გატაცებით მუშაობდა, მაგრამ მხედრულ ცხოვრებაზე ოცნება არ ეშვებოდა და ბოლოს ახლა ეს ოცნება: იგი თბილისის საარტილერიო სასწავლებელში შევიდა. თვალწინ წარმოუდგა მეგობრები — ლევან გომელაური, სოსო ძიძიშვილი, ვიქტორ მოროზოვი, მიხეილ ირემაშვილი, ილია დემჩენკო, ისინი ყველანი მასავით ოცნებობენ, ოცნებობენ, ოცნებობენ... ეს ოცნებანი ასრულებულ იქნა. ... ...

წარდგენილია შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

სამშობლოს სიმღერა

დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ წერილში ილია ჭავჭავაძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ისტორია თავის გულისფიცარზედ იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას... ეს თუ ასეა, მაშინ მის გულისფიცარზე ღრმად უნდა იყოს დაჭდეული თვით პოეზიის მრავალსაუკუნოვანი ჯამბარაც, რადგან სწორედ ის გახლავთ ერის ნაჭირმაგარი სულისა და გულის პირველი მეფეთქვავი ძარღვი, პირველი მაცნე უხილავი მოძრაობისა...

მრავალსაუკუნოვან ამ დიდ ჯამბარას ხელს არ უშვებს და მას დარჯაში გამოვლილ მეზრესავით ბეჯითად მიჭყვება პოეტი იოსებ ნონეშვილი. ამის შესახებ მან ერთხელ საქვეყნოდ განაცხადა კიდევაც: ქართული კლასიკური პოეზიის მშვენიერი ტრადიციების ერთგულება და თანამედროვეობაზე გულისხმიერი საუბარი ჩემს პოეტურ მოვალეობად მიმიჩნიაო. მისთვის მართლაც უცხო იყო და არის დაჟინებული ფორმალისტური ძიებანი და ექსპერიმენტული გატაცებანი.

იოსებ ნონეშვილი თავიდანვე ჯერგად დაეუფლა საუკუნეების მანძილზე რელიეფურად გამოკვეთილ, ჩამოყალიბებულ პოეტურ ფორმებს და ორიგინალობის მიზნით მათ „გადაკეთება-გადმოკეთებაში“ წუთისაც არ კარგავს, წერს ყოველთვის გულის კარნახით, რასაც ხელს უწყობს ავრეთვე მისი იდეურ-მხატვრული პოზიციის საოცარი სიაჩარა.

„დარაბებს მიღმა გაზაფხულია“

ამ დღეებში კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალურმა სახელოსნომ მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ახალგაზრდა დრამატურგის ლაშა თაბუკაშვილის დრამა „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“. თანამედროვე ცხოვრების ამსახველ პიესაში მთავარი თემა სიყვარულია.

სპექტაკლი დადგა თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტმა ცოტნე ნაკაშიძემ. დიპლომის ხელმძღვანელია თეატრალური სახელოსნოს სამხატვრო ხელმძღვანელი პროფესორი მიხეილ თუმანიშვილი. სპექტაკლში მონაწილე მსახიობებიდან რამდენიმე უჩვეულო დებიუტანტია. მათ შორის ცნობილი კინომსახიობი მეგი წულუკიძე. მისთვის ეს იყო პირველი გამოსვლა სცენაზე და პირველი სიხარულიც, რადგან მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა. სპექტაკლი ერთგვარი დებიუტი იყო კინომსახიობ ვასილ ჩხაიძისთვისაც. 20 წლის შესვენების შემდეგ იგი კვლავ ვიხილეთ სცენაზე. ნამდვილი გამარჯვება მოუტანა ახალგაზრდა მსახიობ ნ. ჭანკვეტაძეს ნინიკოს როლზე მუშაობამ. აღსანიშნავია ი. ვასაძის დახვეწილი თამაში. სპექტაკლში მონაწილეობენ აგრეთვე თეატრის ახალგაზრდა მსახიობები ზ. მიქაშავიძე, ქ. დოლიძე, რ. რეხვიაშვილი, თ. თოლორაია, ა. ამირანაშვილი და თეატრალური სახელოსნოს თანამშრომლები.

ლია მირიანაშვილი.

* * *

სურათზე: სპექტაკლის სცენა; ნინიკო — ნინელი ჭანკვეტაძე, კოკა — ზაზა მიქაშავიძე.

ე. გიგილასშვილის ფოტო.

დედაქალაქის თეატრალურ აფიშასთან

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

□ 12 თებერვალი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქის ამბავი“ (ფერადი), 10.10 — მერვეკლასელთათვის — ფიზიკა (ფერადი), 17.00 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის კონსტიტუცია, 17.30 — განცხადებები, 17.35 — მოსწავლეთათვის — „ჩემი მასწავლებელი“, 18.00 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 19.15 — „ხუთწლედი — წელი მეოთხე“ (მოსკოვიდან), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მოსკოვიდან), 20.00 — საერთაშორისო შეხვედრა ჰოკეიში, ჰოკეის ეროვნული ლიგისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები (ნიუ-იორკიდან), 22.00 — „ვრემია“ —საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.45 — „წარდგენილია რუსთაველის პრემიაზე“ — ფრიდონ ხალვაში (ფერადი).

□ 13 თებერვალი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 18.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გვიძებეთ მთებში“, 18.40 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 19.10 — „სასტრადო პანორამა“ (ფერადი), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მოსკოვიდან), 20.00 — დეპუტატობის კანდიდატები“ — ანატოლი აყიბა, 20.10 — სპორტული მიმოხილვა, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — „ვერნისაჟი“. „წარდგენილია რუსთაველის პრემიაზე“ — სერგო ქობულაძე (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.45 — მუსიკალური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი — „სიმღერა ეკრანზე“. მხატვრული ფილმი — „ჩალის ქუდი“, I სერია. (ფერადი).

□ 14 თებერვალი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის მათემატიკა (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 18.05 — „გამოჩენილი მეცნიერი“ — აკადემიკოსი ალექსანდრე ჯანელიძე, 18.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბრიანსკი“ (ფერადი), 19.00 — „ფილმის დაბადება“ — „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ (ფერადი), 19.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მოსკოვიდან), 20.00 — „წარდგენილია რუსთაველის პრემიის მოსაპოვებლად“, — ოტია იოსელიანი (ფერადი), 20.50 — კინოჟურნალი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — იტალიური მუსიკის კონცერტი. 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.45 — მუსიკალური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი — „სიმღერა ეკრანზე“. მხატვრული ფილმი „ჩალის ქუდი“. II სერია (ფერადი).

□ 15 თებერვალი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ფიზიკა (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — უმცროსკლასელთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას, 18.05 — მოსწავლეთათვის — „ცვლა“ (ფერადი), 18.40 — დოკუმენტური ფილმი „ნაჩუქარი სანათლე“ (ქართულ ენაზე), 19.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (მოსკოვიდან), 19.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 10.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მოსკოვიდან), 20.00 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“. სატელევიზიო ჟურნალი „იავნანა“, — (ფერადი), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, (ფერადი), 21.30 — კონცერტი სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა თხოვნით (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.45 — „თეატრი და ცხოვრება“, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „ძველი ვალსი“ (ფერადი).

□ 16 თებერვალი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქიმია (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — შევისწავლოთ ფრანგული ენა, 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.20 — „დაე მუდამ იყოს მზე“ (მოსკოვიდან), 19.05 — „მოვლენები, პერსონალიები, პერსპექტივები“, 19.35 — „დეპუტატობის კანდიდატები“ — [illegible], 19.45 — [illegible] (მოსკოვიდან), 20.00 — „წარდგენილია რუსთაველის პრემიის მოსაპოვებლად“, — პოეტი იოსებ ნონეშვილი (ფერადი), 20.50 — დოკუმენტური ფილმი; 21.00 „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.45 — მსოფლიო თასის გათამაშება სამთო-სათხილამურო სპორტში (მოსკოვიდან),

□ 17 თებერვალი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.50 — კინონარკვევი, 10.00 — შევისწავლოთ ქართული ენა (ფერადი), 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გიძღვნი ციასარტყელას“ (ფერადი), 10.50 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (მოსკოვიდან), 11.20 — „კინომოზაიკა“, 12.10 — „შეხვედრა ტელეაუდიტორიებთან“, 13.10 — „დილის ფოსტა“. მუსიკალური პროგრამა (მოსკოვიდან), 13.40 — „ჯანმრთელობა“. სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მოსკოვიდან), 14.25 — „საბჭოები და ცხოვრება“. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ (მოსკოვიდან), 14.55 — მსოფლიოს ქალაქი-მუზეუმი“ (ფერადი), 15.25 — კინონარკვევი, 15.35 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.20 — კონცერტი. „მღერის სახელმწიფო კაპელა“ (ფერადი), 16.40 — თბილისი და თბილისელები“ (ფერადი), 17.10 — „ბავშვთა საერთაშორისო წელი. მხატვრული ფილმი „მოვდიავთ და მოვიმღერით“ (ფერადი), 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მექანიზატორები“ (ფერადი), 19.00 — საესტრადო კონცერტი (ფერადი), 19.35 — მულტიპლიკაციური ფილმი; 19.55 — „მოამბე“, — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.25 — ლენინგრადის საბჭოს სახელობის თეატრის სპექტაკლი „ინტერვიუ ბუენოს-აირესში“. I მოქმედება (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — ლენინგრადის საბჭოს სახელობის თეატრის სპექტაკლი „ინტერვიუ ბუენოს აირესში“. II მოქმედება (ფერადი).

□ 18 თებერვალი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „რამპა“ (ფერადი), 10.00 — შევისწავლოთ რუსული ენა (ფერადი), 10.30 — „მაღვიძარა“ (მოსკოვიდან), 11.00 — „ცეროდენას ეკრანი“ (ქართულ ენაზე), (ფერადი), 12.00 — ტელეაუდიტორიათათვის — ქართული ენა (ფერადი), 12.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ყამირის გმირი“, 13.00 — „მუსიკალური კოსკი“ (მოსკოვიდან), 13.30 — ახალციხის კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა დრამატული წრის სპექტაკლი „ცერეტელი“ (განმეორებით. ფერადი), 14.35 — მოსწავლეთათვის — „ნორჩ წიგნისმოყვარულთა კლუბი“ (ფერადი), 15.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 15.30 — „ჩვენი სოფელი — სატელევიზიო პროგრამა, 16.30 — „კინოადგილი“, 17.00 — „არჩევნების შესახებ“ — ლენინის რაიონი. 17.30 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (მოსკოვიდან), 18.30 — „გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს“ (განმეორებით, ფერადი), 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“, (მოსკოვიდან), 19.50 — „კინოს მოყვარულთათვის“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — „დეპუტატობის კანდიდატები“ — ლამარა ჭყონია (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — სპორტული პროგრამა. ჩემპიონატი ჩემპიონების თვალით. გადაცემაში მონაწილეობენ: მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი და მ. ტალი (მოსკოვიდან).

კვირის პროგრამა

12-18 თებერვლის საქართველოს ტელევიზიის პირველი პროგრამით ნახავთ

რედაქტორი
გ. გედინეიშვილი.

ტელევიზია

10 თებერვალი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — კინონარკვევი, 10.05 — „ბავშვებს — ცხოველების შესახებ“ (ლენინგრადიდან), 10.35 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (მოსკოვიდან), 11.05 — შევისწავლოთ ქართული ენა (ფერადი), 11.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 12.00 — დოკუმენტური ფილმი „სურათები, წლები....“ (ქართულ ენაზე. ფერადი), 12.20 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური პროგრამა (მოსკოვიდან), 12.50 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სპილო და თოკი“, 13.35 — „კინომოზაიკა“, 14.20 — „საბჭოები და ცხოვრება“ — — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ (მოსკოვიდან), 14.50 — სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 15.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 15.45 — „დეპუტატობის კანდიდატები“, 16.00 — „ქართული მწერლობა-78“ (ფერადი), 17.40 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.50 — სატელევიზიო მისაღები, 18.50 — „ბუნების კარი“ (ფერადი), 19.30 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მოსკოვიდან), 20.15 მულტიპლიკაციური ფილმი, 20.25 — წარდგენილია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად, 20.45 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — უკრავს ელისო ვირსალაძე (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — საესტრადო კონცერტი „ჩვენი სტუმრები“ (ფერადი), 23.00 — საერთაშორისო შეხვედრა ჰოკეიში. ჰოკეის ეროვნული ლიგისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები (ნიუ-იორკიდან).



ველ საქმეს მოეკლებაო. ამიტომ, სადღესაო პრობლემათა დროული გადაწყვეტა საშურისო საქმესაც არგებს. მხოლოდ ამ გზით მოვიზიდავთ ახალგაზრდებს მშვილდოსნურ სარბაილზე, ან გზით შევძლებთ მაღალი კლასის ოსტატების აღზრდას.

სპორტი

საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისა და მოსკოვის ოლიმპიადის მოახლოებასთან ერთად, ცხადია, იზრდება მათდამი ინტერესიც.

მკითხველებს ვთავაზობთ ახალ რუბრიკას „სპარტაკიადიდან ოლიმპიადამდე“, რომელშიც ვრცლად ვისაუბრებთ სპარტაკიადისა და ოლიმპიადისათვის მზადებაზე, იმ სახეობებზე, რომლებიც სპარტაკიადისა და ოლიმპიადის პროგრამაშია შეტანილი, გაგაცნობთ წინა სპარტაკიადებსა და ოლიმპიადებში საქართველოს სპორტსმენთა მიღწევებს, საცნობარო მასალებს.

სსრ კავშირის ხალხთა პირველიდან მეოთხე სპარტაკიადამდე მოყოლებული საქართველოს სპორტული დელეგაციები საერთო-გუნდურ ჩათვლაში მეხუთე საპრიზო ადგილებზე იყვნენ, V სპარტაკიადაზე ჩვენ მეექვსე ადგილზე გადავინაცვლეთ, VI-ში — მეშვიდეზე. ცხადია, ასეთი დაღმასვლა არავის აკმაყოფილებს. ხომ ჯერ არს უკეთესი ადგილისათვის ვიბრძოლოთ, მეტად დავძაბოთ ძალები და დაკარგულის დაბრუნებაზე ვიფიქროთ? ძნელია ეს თუ არა? — ერთობ ძნელია, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ რაც უფრო ძნელია ამოცანა, მით უფრო საპატიოა იგი.

გაზეთი „კომუნისტი“ წლინახევრის განმავლობაში მოუთხრობს მკითხველებს ამ ორი დიდი სპორტული ასპარეზობისათვის მზადებისა და მათში მონაწილეობის თაობაზე. ურიგო არ იქნებოდა თუ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები, მწვრთნელები მოგვითხრობენ წარსულ სპარტაკიადებსა და ოლიმპიადებში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის საინტერესო ეპიზოდებზე.

ვიწყებთ მშვილდოსნობით.

სპარტაკიადიდან ოლიმპიადამდე

მშვილდოსნობა

დაბრუნება და იმედი

ქეთევან ლოსაბერიძე! ამ სახელოვანმა ქართველმა მშვილდოსანმა ქალმა სამიოდე წლის წინათ დატოვა სპორტული სარბიელი და თბილისის უნივერსიტეტში ზოგადი მათემატიკის კათედრაზე დაიწყო მუშაობა. ყველამ და მათ შორის თავად ქეთევანმაც გადაწყვიტა, რომ მისი სპორტული ბიოგრაფია ამით მომთავრდა...

მაგრამ დადგა 1978 წელი, და ქეთევანი კვლავ გამოჩნდა მშვილდოსანთა სასროლეთზე, კვლავ მოზიდა მშვილდი, ისრებმა კვლავ იწყო ფრენა მიზნისაკენ. შემდეგ ინგლისის ქალაქ კოვენტრიში ევროპის ჩემპიონატზე ამხანაგებთან ერთად მან გუნდური პირველობა და პირადი მეოთხე ადგილი მოიპოვა, სოციალისტური ქვეყნების მშვილდოსანთა ასპარეზობაზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იგი აბსოლუტური ჩემპიონი გახდა და 50 მეტრზე სროლაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა. აშხაბადში აბსოლუტური პირველობის მოპოვებით იგი სსრ კავშირის თასს დაეუფლა და ამავე დროს მსოფლიო და საკავშირო რეკორდებიც დაამყარა! შარშანდელი სეზონის მიწურულს, ქეთევანმა ორჯონიკიძეში უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების საკავშირო ასპარეზობისას 2627 ქულით აბსოლუტური პირველობა მოიპოვა და 56 ქულით გადაჭარბა მსოფლიო ოფიციალურ რეკორდს, ხოლო 30 მეტრზე პირველ სერიაში 360 შესაძლებლობიდან 353 ქულა დააგროვა. ასე თი შედეგები მსოფლიოში არათუ ქალებს, ვაჟებსაც კი არ ჰქონიათ! ხვავიანი გამოდგა მიუნხენი ნ ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილისათვის ერთი წლის „მოსაცალი“. მან ახლახანაც ისახელა თავი: მოსკოვში ღია პირველობაზე მ-1 ვარჯიშში II ადგილი დაიკავა, ხოლო 70 მეტრ დისტანციაზე საკავშირო მიღწევის აღმნიშვნელი შედეგი უჩვენა — 304 ქულა.

მაშ ასე, ქეთევანი კვლავ მწყობრშია, კვლავ იბრძვის ახალი მწვერვალების დასაკარობად და მიისწრაფვის ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ასასვლელად.

მაგრამ ოლიმპიადამდე ლოსაბერიძემ და მისმა თანგუნდელებმა სსრ კავშირის ხალხთა მეშვიდე სპარტაკიადაში უნდა დიცვან ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება. სწორედ სპარტაკიადაში მოპოვებული შედეგები გვიჩვენებს, თუ რის შემძლენი ვართ სპორტის ამ სახეობაში. ცხადია, სპარტაკიადის შედეგებმა უნდა განსაზღვროს, გვეყოლება თუ არა საბჭოთა ოლიმპიურ ნაკრებში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი და ისიც, თუ როგორ იმუშავეს მწვრთნელებმა. ამჟამად ჩვენი მშვილდოსნები ინტენსიურად ემზადებიან, სპორტსმენები და მწვრთნელები თავს არ ზოგავენ ოსტატობის დასახვეწად. ცოტა ხანიც, და ღია სასროლეთებზე გამოჩნდებიან სპორტსმენები — ისინი მონაწილეობას მიიღებენ კომპლექსურ ტურნირებში (აპრილში — სსრ კავშირის უძლიერეს მშვილდოსანთა ასპარეზობა, • მაისში — საერთაშორისო შეჯიბრება „გაზაფხულგა ისრები“). ალბათ სწორედ ამის შემდეგ დადგინდება საბოლოოდ ნაკრები, რომლის ძირითად შემადგენლობაში ლოსაბერიძესთან ერთად აშკამად შედიან გ. რიჟამაძე, ე. გოლუბევა, ლ. ტოპოროვა, რ. ქართველიშვილი, აგრეთვე ვაჟები — ნ. მიქელაძე, ვ. ტროპინი, ი. ლოგინოვი, ლ. ნოვოსელცოვი, გ. არჩვაძე. თუ გავითვალისწინებთ, რომ რესპუბლიკის ქალთა და ვაჟთა გუნდებში საბოლოოდ 4-4 სპორტსმენი იქნება წარმოდგენილი, ზემოხსენებულ კონკურენტთა რიცხვი სასურველზე გაცილებით ნაკლებია. რამ განაპირობა ეს? — თავდაპირველად, ალბათ, იმან, რომ მშვილდოსნობამ რესპუბლიკის ყველა კუთხეში კიდევ ვერ მოიკიდა ფეხი. ცხადია, როცა მასობრიობა არ არის, არჩევანიც ჭირს, სპორტსაზოგადოებათაგან მშვილდოსნობის განვითარებაზე მხოლოდ „ბურევესტნიკსა“ და „ლოკომოტივში“ ზრუნავენ სერიოზულად. სამწუხაროდ, თითქმის არაფერი კეთდება მშვილდოსნობაში მოზარდების ჩასაბმელად, საიმედო ცვლა კი სწორედ ბავშვთა ჯგუფებში უნდა ვეძიოთ. არც ბაზებით და ინვენტარით ვართ განებივრებულნი. ქუთაისში სასროლეთის მშენებლობა რომ გაჭიანურდა, ალბათ ესეც არის იმის მიზეზი, რომ აქ მშვილდოსანთა მომზადების საქმეში მნიშვნელოვანი ხარვეზებია. შორს ნუ წავალთ, კარგი მშვილდები ნაკრების ყველა წევრსაც კი არა აქვს, რაც შეეხება ისრებს, ამ მხრივ, საქმე ერთგვარად გამოსწორდა: საქართველოს სპორტკომიტეტმა სპორტსმენები ამ ინვენტარით უკვე მოამარაგა.

1971 წელს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის საერთო-გუნდურ ჩათვლაში საქართველოს მშვილდოსნებმა IV ადგილი დაიკავეს, 1975 წელს კი — VIII. ამჯერად VI ადგილი — ასეთია საქართველოს სპორტის მოყვარულთა განაწესი მშვილდოსნებისადმი.

ჯ. ენუქიძე.

მოსკოვის ოლიმპიადისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი პლაკატი.

ოლიმპიური აღიარება

მიუხედავად დიდი ხნის ისტორიისა, სპორტის ამ სახეობამ ოლიმპიური აღიარება იოლად როდი მოიპოვა. მშვილდოსანთა შეჯიბრებები შეტანილი იყო 1900, 1904, 1908 და 1920 წლების ოლიმპიადების პროგრამაში, მაგრამ ამის შემდეგ ნახევარი საუკუნე გახდა საჭირო, რომ იგი — 1972 წელს კვლავ გამოჩენილიყო ოლიმპიადაზე. და ეს მაშინ, როცა მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიტა; შეიქმნა 1931 წელს) ოლიმპიური სტატუსი 1958 წელს მიიღო; რაც შეეხება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებს, მშვილდოსნობა პირველად V სპარტაკიადის (1971 წელი) პროგრამაში შეიტანეს.

არქივარიუსის ჩანაწერები

V სპარტაკიადა (1971 წელი). ლუბა ასტაროვა — აბსოლუტური I ადგილი, I ადგილები 60 და 30 მეტრ დისტანციებზე, II ადგილი 50 მეტრზე ასპარეზობაში; ქეთევან ლოსაბერიძე — III ადგილი 30 მეტრზე შეჯიბრებაში; გუნდური III ადგილი ქალთა შორის (ასტაროვა, ლოსაბერიძე, გ. პაიკიძე).

VI სპარტაკიადა (1975 წელი). ლოსაბერიძე — II ადგილი აბსოლუტურ პირველობაში.

XX ოლიმპიადა (მიუნხენი, 1972 წელი). ლოსაბერიძე — IV ადგილი აბსოლუტურში, I — 70 მეტრზე, V — 50-ზე, VIII — 60-ზე და X — 30-ზე.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რომ გარდაიცვალა სამმართველოს განყოფილების უფროსი, საბჭოთა სტატისტიკის ღვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი

სერგო მიხეილის ძე ფირუმოვი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პოეტის პოპულარობა

კოლონელ მკითხველებს შესაძლებლობა მიეცათ გასცნობოდნენ იოსებ ნონეშვილის პოეზიას. მისი ლექსების ციკლი დაიბეჭდა ჟურნალ „სოვეტსკაია ლიტერატურას“ პოლონურ გამოცემაში. მისი მთავარი რედაქტორი ევა ვასილევსკა ამის გამო ჟურნალ „კრაი რადში“ წერს:

„პოეზიის მოყვარულნი ამ ნომერში ნახავენ ქართველი პოეტის იოსებ ნონეშვილის ლექსების ციკლს. ხალხური პოეზიით მოჯადოებული პოეტი ქმნის თანამედროვე ორიგინალურ ლექსებს, რომლებიც ასახავს დღევანდელი საქართველოს ცხოვრებას. ერთ-ერთი ლექსი ასეა დასათაურებული „შემოდგომა თბილისში“. ვინც თუნდაც ერთხელ ყოფილა ამ ქალაქში, ეს ლექსი უთუოდ გაახსენებს მის განუმეორებელ ფერებს, სურნელებასა და ბგერებს, იმას კი, ვინც არ იცნობს საქართველოს დედაქალაქს, მოუნდება მისი ნახვა“. (საქინფორმი).

ალვა ამისულაშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 УЭ 06960

საქართველოს კომპარტიის ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.